41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ქარელელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ქარელის მერობის კანდიდატისა და ქარელის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ქარელის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ქარელი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი, საშუალოდ, 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად, ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ქარელის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს 10,3 მლნ იყო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი 26,3 მლნ ლარია, იზრდება ზოგადად მუნიციპალიტეტის საკუთარი საბიუჯეტო შემოსავლებიც – თუ 2013 წელს ადგილობრივმა ბიუჯეტმა სულ 6,8 მლნ ლარი მიიღო, 2021 წელს გადასახადებში შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 14,8 მლნ ლარს შეადგენს.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მილიონიდან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი – 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

2014-2021 წლებში, ქარელის მუნიციპალიტეტში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ **გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების 16 პროექტი** განახორციელა (ჯამური ინვესტიცია 20 599 545 ლარი, სახელმწიფოს თანამონაწილეობა 8 143 055 ლარი). პროგრამით **„ახალგაზრდა მეწარმე“,** 2018-2021 წლებში, მხარდაჭერილია 3 პროექტი (ჯამურად 349 169 ლარი, თანამონაწილეობა 139 050 ლარი). პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 2015-2021 წლებში, 540 ჰექტარზე განხორციელდა 145 პროექტი (ჯამურად 7 893 758 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, ჯამურად, დაზღვეულია 2 404 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 31 776 333 ლარი), რითაც 757-მა ბენეფიციარმა ისაარგებლა. ფერმერებზე სტიქიით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 1 557 332 ლარი გაიცა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით დღეისთვის მოქმედებს 14 კოოპერატივი (109 მეპაიე, კაპიტალი 191 139 ლარი). პროგრამით **შეღავათიანი აგროკრედიტი**, 2013-2021 წლებში, ჯამურად 60 646 600 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 8 877 941 ლარი), რითაც 795-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა. **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** 80 პროექტი ჯამურად 4 238 946 ლარით დაფინანსდა (თანადაფინანსება 1 693 030 ლარი). 2019 წელს დაიწყო **სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა და** შესყიდულია 185 520 ლარის ტექნიკა (თანამონაწილეობა 92 760 ლარი). 2020 წლიდან მიმდინარეობს **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** და დღემდე 18 პროექტი განხორციელდა (ჯამურად 667 213 ლარი, თანადაფინანსება 331 154 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, 4 796 955 ლარი დაიხარჯა, შედეგად წყალუზრუნველყოფილი მიწის ფართობი, ბოლო წლებში, 500-დან (2013 წელს) 4 621 ჰექტრამდე (2020 წელს) გაიზარდა.

2013 წლიდან დღემდე, ქვეყნის მასშტაბით, სახელმწიფოს მხარდაჭერით, უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

- **მომდევნო წლებში გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მილიონი ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**
- **უახლოეს მომავალში სეტყვისგან დასაცავად შიდა ქართლი, კახეთის მსგავსად, უზრუნველყოფილი იქნება სეტყვისგან დამცავი სისტემებით;**
- **2024 წლისთვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილია სარწყავი წყლით უზრუნველყოფილი ფართობის 10 951 ჰექტრამდე ზრდა.**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

პროგრამით **„აწარმოე საქართველოში“,** ქარელში დაფინანსდა 1 საწარმო (ჯამურად 230 000 ლარი, დასაქმებულია 15 ადამიანი). **მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით,** „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 698 638 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 940 318 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 87 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 37, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 50 პროექტი).

- **მომავალში გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად დაიხვეწება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამები და გაიზრდება მათი ეფექტიანობა.**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრესი მიზანია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების გაძლიერება და ენერგოდამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება. ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებას და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

შიდა ქართლის რეგიონში, 2012-2021 წლებში, ექსპლოატაციაში შევიდა 2 ჰიდროელექტროსადგური და 1 ქარის ელექტროსადგური (ჯამური დადგმული სიმძლავრე 23 მგვტ, ინვესტიცია 38 მლნ აშშ დოლარი). **ამ ეტაპზე შიდა ქართლის რეგიონში ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის ეტაპზეა შემდეგი ენერგეტიკული პროექტები:** მეტეხი ჰესი 1 (56 500 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 36,70 მგვტ); მეტეხი ჰესი 2 (20 000 000 მლნ აშშ დოლარი; დადგმ.სიმძლავრე 10,00 მგვტ); კასპის ქარის ელსადგური (78 000 000 მლნ აშშ დოლარი, დადგმ.სიმძლავრე 50,00 მგვტ); ფლევის ქარის ელსადგური (46 700 706 მლნ აშშ დოლარი, დადგმ. სიმძლავრე 34,50 მგვტ);

ქარელის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია 7 447 აბონენტი.** ხელისუფლების გეგმის თანახმად, გაზიფიცირების სამუშაოები გრძელდება. 2014 წელს **სოფლების ზემო ლელეთისა და ოქროსოფლის 38 ოჯახი ელექტროენერგიის ქსელში ჩაერთო.** სულ 2013-2017 წლებში, **5 927** აბონენტს დაუმონტაჟდა **ინდივიდუალური მრიცხველი**, რითაც მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად, განხორციელდა რეგიონის ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია,

მიმდინარეობს ახალი ტურისტული მარშრუტების კვლევისა და დაგეგმვის პროექტი. 2015 წლიდან დღემდე ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივ ტურისტულ ინდუსტრიაში დასაქმებული ან დასასაქმებელი პირებისათვის. განვლილ წლებში მოწესრიგდა ქარელის ტურისტულ ობიექტებთან მისასვლელი გზები და სხვა ინფრასტრუქტურა. კერძოდ, განხორციელდა გვერძინეთი-ქოზეფას გზის კეთილმოწყობა; ტურისტებისათვის შეიქმნა ფოტოარქივი და გზამკვლევი და სხვა.

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

ᲒᲐᲠᲔᲛᲝᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲓᲐ ᲑᲣᲜᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲡᲐᲠ�გᲔᲑᲚᲝᲑᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

2013-2020 წლებში, ქარელის მუნიციპალიტეტში, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით, გაცემულია 86 ათასი კუბური მეტრი **მერქნული რესურსი.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 3475,8 კუბური მეტრი ხე-ტყე. 2019-2021 წლებში, მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება,**

გარემოს ეროვნული სააგენტო უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს,** ავრცელებს ამინდის პროგნოზს და გაფრთხილებას მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი ყოველწლიურად ახორციელებს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს პრევენციული ღონისძიებების გასატარებლად; მიმდინარეობს მიწისქვეშა **მტკნარი სასმელი წყლების მონიტორინგი** 1 წყალპუნქტზე;

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

2022-2023 წლებში, ქარელის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ქარელში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობაზე, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 55 მლნ ლარამდე დაიხარჯა. აშენდა 13 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 20 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 593 ათასი ლარის კომპენსაცია გამოყო.

ხელისუფლების გეგმის თანახმად, მომდევნო (2021-2025) წლებში ქარელის მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა. შედეგად, მუნიციპალიტეტის 26 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 3 989 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომა ექნება.

2014-2020 წლებში, ქარელის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 5 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

სოფელ ბერძენაულში სკვერის მოწყობის დასრულებული სამუშაოები

ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ

ᲨᲞᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲔᲕᲖᲘ - ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ
ᲛᲔᲗᲔᲕᲖᲝᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲔᲕᲖᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲘᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
79 ᲛᲚᲜ ᲚᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲨᲔᲚᲐᲕᲐᲗᲘᲐᲜᲘ ᲐᲒᲠᲝᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲐ ᲒᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ

2021-2022 ᲬᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲘᲚᲘᲐ ᲐᲜ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲖᲐᲨᲘᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ:

- დირბის სასმელი წყლის სისტემის მოწყობა – 340 000 ლ;
- გამყოფი ხაზთან მდებარე სოფლებში საციხური-აბანო-კოდის გზის რეაბილიტაცია – 758 557 ლ;
- ქვემო ხვედურეთის გზის გაგრძელება – 265 900 ლ;
- ურბნისის გზის მოასფალტება (ტაძრამდე მისასვლელი გზა) – 237 000 ლ;
- ქარელში სპორტული სტადიონის მიმდებარედ, ორივე მხარეს გზის მოასფალტება – 445 078 ლ;
- ქვემო შაქშაქეთის გზის მოასფალტება – 435 430 ლ;
- ქვენატკოცის ცენტრალური ქუჩების მოასფალტება – 626 332 ლ;
- აგარის ქუჩების მოასფალტება (რკინიგზასთან, კორპუსების წინ) – 700 000 ლ;
- რუისის გზის მოასფალტება (ყოფილი ადმ. შენობის ასასვლელი) – 264 999 ლ;
- დირბის შემაერთებელი გზის მოასფალტება (საბავშვო ბაღი, ადმ. შენობა და სპორტდარბაზამდე) – 314 233 ლ;
- სოფელ რუისის გზის მოასფალტება (მეორე ეტაპი) – 505 009 ლ;
- ქვენატკოცის ქუჩების მოასფალტება (მეორე ეტაპი) – 374 816 ლ;
- სოფელ დოღლაურში გზის მოასფალტება – 544 768 ლ;
- აგარის ქუჩების მოასფალტება (მეორე ეტაპი) – 471 064 ლ;
- სოფელ იმერხევის გზის მოასფალტება – 482,781 ლ.

ᲨᲘᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ

ᲠᲙ ᲐᲒᲠᲝᲚᲘᲓᲔᲠᲘ - ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲘᲗ
65 ᲐᲗᲐᲡ ᲢᲝᲜᲐᲛᲓᲔ ᲢᲔᲕᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲜᲐᲮᲕᲔᲚᲘ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ

ᲖᲐᲖᲐ ᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ: „ᲛᲘᲜᲓᲐ, 4 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ ᲘᲧᲝᲡ“

2021 ᲬᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ, „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲛᲐ ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲛ“, ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲠ ᲖᲐᲖᲐ ᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ ᲒᲐᲛᲝᲣᲪᲮᲐᲓᲐ ᲜᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲐᲡᲐᲮᲔᲚᲐ ᲛᲔᲠᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲐᲓ. ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲖᲐᲖᲐ ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲘ ᲗᲐᲕᲛᲓᲐᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲒᲣᲜᲓᲛᲐ ᲔᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ ᲐᲚᲑᲐᲗ ᲒᲐᲬᲔᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲘᲘᲦᲝ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲨᲐᲜᲡᲘ ᲐᲥᲕᲡ – ᲐᲥ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲒᲐᲖᲠᲓᲘᲚᲘᲐ, ᲐᲥ ᲛᲐᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲘᲪᲜᲝᲑᲡ. ᲛᲔᲠᲝᲑᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘᲪ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘᲞᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ ᲒᲐᲜᲐᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲐ. ᲣᲤᲠᲝ ᲐᲓᲠᲔ ᲙᲘ, ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲗᲥᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘᲪ ᲒᲐᲮᲓᲐ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲮᲔᲚ.

ᲓᲦᲔᲡ „ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲢᲐᲢᲐᲛᲖᲔ“ ᲓᲒᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲨᲙᲐᲠᲐ ᲣᲞᲘᲠᲐᲢᲔᲡᲝᲑᲐᲡ ᲒᲠᲫᲜᲝᲑᲡ. ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲨᲘᲪ ᲓᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲐᲨᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲮᲐᲚᲮᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲣᲜᲓᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ 4 ᲬᲔᲚᲨᲘ, ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢ ᲙᲐᲠᲒ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ.

დაიბადა 1972 წლის 19 დეკემბერს, ქარელის სოფელ ბრეთის მეურნეობაში. 1989 წელს დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლა. 1989-1991 წლებში სწავლობდა თბილისის ფიზიკური კულტურის ტექნიკუმში, 1999-2004 წლებში ბათუმის, მემედ აბაშიძის სახელობის უნივერსიტეტის, სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. ამ წლებში იყო საქართველოს ძიურდოს ნაკრების წევრი, მიაღწია წარმატებებს ქვეყნის შეჯიბრებებზე, ასევე საერთაშორისო ტურნირებზე ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში. არის საქართველოს ჩემპიონი და სპორტის ოსტატი.2004-2010 წლებში მუშაობდა შპს „ფალავანში“ დაცვის უფროსად. 2012-2013 წლებში გახლდათ პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ ქარელის რაიონული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. 2013 წელს მუშაობდა ქარელის პოლიციის სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ. 2013 წელს ირლანდიაში გამართულ „მსოფლიო პოლიციისა და სახანძრო სამსახურის სპორტულ ოლიმპიადაზე“ მოიპოვა ოქროს მედალი ჭიდაობა ძიუდოში. ამ დამსახურებისთვის საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა პირველი ხარისხის ორდენით დააჯილდოვა. 2013 წელს იყო ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი; 2014-2016 წლებში – არჩეული გამგებელი. 2014 წელს საბერძნეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ვეტერანთა შორის სამბოში გახდა ჩემპიონი. 2015 წლიდან დღემდე არის მ.პ.გ. „ქართული ოცნება– დემოკრატიული საქართველოს“ ქარელის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე. 2017 წლიდან დღემდე ქარელის მუნიციპალიტეტის არჩეული მერია.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

– ბატონო ზაზა, თქვენი აზრით, „ქართულმა ოცნებამ“ ნდობა ისევ თქვენ რატომ გამოგიცხადათ?

– გუნდმა ნდობა ალბათ ჩემი გაწეული შრომის გამო გამომიცხადა.

– ქარელში რა შრომა გაწიეთ?

– ქარელის მუნიციპალიტეტი ჩემი მერობის პერიოდში ერთ-ერთი მოწინავე იყო საქართველოს მასშტაბით ინფრასტრუქტურული პროექტებით და ასევე დამატებით რეგფონდებიდან გამოყოფილი თანხების ათვისებით. განვახორციელეთ მასშტაბური პროექტები. მაგალითად, რუისის ცენტრალური გზები გაკეთდა, ცენტრალური ქუჩები ასფალტის საფარით მოეწყო. ამ მონაკვეთზე ასფალტისსაფარიანი გზა კომუნისტების დროსაც არ ყოფილა. ასევე, აგარისა და ქვენატკოცის შიდაგზები მოასფალტდა. შიდაგზები გაკეთდა მუნიციპალიტეტის არაერთ სოფელში და ამ ჩამონათვალში არის კონფლიქტისპირა სოფელი ატოციც, რასაც ჩემთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს.

– ინფრასტრუქტურული პროექტების საზღვრისპირა სოფლებში განხორციელება თქვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი რატომ არის?

– საზღვრისპირა სოფლებში ადამიანებს, ქვეცნობიერად, ისედაც მუდმივად დაძაბულ რეჟიმში უწევთ ცხოვრება. მათთვის ძალიან მნიშვნელოვანია იმის შეგრძნება, რომ ხელისუფლებას ისინი ახსოვს. მაქსიმალურად ვცდილობთ, მათ იგრძნონ ჩვენი ყურადღება და თანადგომა. აქ განვითარება იმის წინაპირობაა, რომ ადგილობრივებს არ გაუჩნდეთ თავიანთი საცხოვრებლის დატოვების სურვილი და საზღვრისპირა სოფლები არ დაიცალოს. ამიტომ აქაც, ისევე როგორც მთელ მუნიციპალიტეტში, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად მიზნად დავისახეთ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელება. პრიორიტეტი იყო წყალმომარაგება, გაზიფიცირება, სოფლამდე მისასვლელი გზების, სკოლების რეაბილიტირება, გარეგანათებების მოწყობა, სპორტული ინფრასტრუქტურის გაკეთება. გვაქვს არაერთი სოციალური პროგრამაც, რომლითაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ვეხმარებით; ყოველწლიურად 1 მილიონ 200 ათას ლარს ვხარჯავთ. ეს პროგრამებია: გაჭირვებულთა სასადილო, რომლითაც 90 ბენეფიციარი სარგებლობს. მოქალაქეებს ოპერაციებსაც ვუფინანსებთ და სხვა სამედიცინო სერვისის მიღებაშიც ვეხმარებით ფინანსურად. სწავლის საფასურის გადახდაში ვეხმარებით ასევე დედით ან მამით ობოლ სტუდენტებს. ვმუშაობთ დემოგრაფიული კუთხითაც – ახალშობილებზე დახმარებებს გავცემთ. პირდაპირ ამის შედეგად ვერ ჩავთვლით, უფრო ალბათ გლობალურად – ყველა მიმართულებით პროექტების განხორციელების დამსახურებაა, რომ მუნიციპალიტეტში შობადობა გაზრდილია, მოსახლეობამ იმატა, სკოლებსა და საბავშვო ბაღებშიცაა ბავშვების რაოდენობა გაზრდილი. ზოგადად, ძალიან მიხარია, რომ სოფელში ხალხის დაბრუნების ტენდენცია აღინიშნება.

– მოსწავლეებისა და საბავშვო ბაღების აღსაზრდელთა რაოდენობას აკმაყოფილებს მუნიციპალიტეტში არსებული საგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა და რამდენად კეთილმოწყობილია ისინი?

– საგანმანათლებლო დაწესებულებებს დიდ ყურადღებას ვაქცევთ. რამდენიმე სოფელში ახალი საბავშო ბაღები გავხსენით; სადაც ეს ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ, ბავშვების ტრანსპორტირებას ვახდენთ ახლომდებარე ბაღებამდე. უკვე ტენდერი დასრულებულია ავლევისა და ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში ახალ საბავშვო ბაღებს ავაშენებთ. ცხადია, ეტაპობრივად ყურადღებას ვაქცევთ სკოლებსაც.

– თქვენთვის, როგორც ყოფილი სპორტსმენისთვის ალბათ სპორტის მიმართულება პრიორიტეტი იყო. სპორტული ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა მუნიციპალიტეტში?

– ძალიან კარგად ვიცი, რა მნიშვნელობა აქვს ბავშვის განვითარებისთვის ფიზიკურ აქტივობას და ისიც ვიცი, რომ სპორტსმენობა ადამიანს, ერთმა წამმა, ერთმა შემთხვევამ შეიძლება გადააწყვეტინოს. ჩემ შემთხვევაშიც ასე მოხდა – არ ვიცი, რა მიმართულებით წავიდოდი, რომ არა ერთი დღე – მეზობელი სოფლიდან შოთა ხაბარელი ოლიმპიური ჩემპიონი რომ გახდა, სკოლაში მოიწვიეს. მაშინ მესამე კლასში ვიყავი და მახსოვს, ისეთი ენთუზიაზმით გვიყვებოდა ჭიდაობაზე, რომ სპორტის ამ სახეობით დავინტერესდი. იმ დღიდან, ქარელში ვვარჯიშობდი. 2 წლის მერე ჩვენ სოფელშიც გახსნა ერთ-ერთმა ძველმა სპორტსმენმა წრე და იქ გადმოვედი. სპორტში წარმატებებსაც მივაღწიე – საქართველოს არაერთგზის ჩემპიონი გახლავართ... და დიახ, პროფესიიდან გამომდინარე, სპორტის ხელშეწყობა ჩემთვის უმნიშვნელოვანესია, თუმცა სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარების მოთხოვნა მოსახლეობის მხრიდანაც იყო. გავხსენით სხვადასხვა სპორტული წრე, გავაკეთეთ

ხელოვნურსაფარიანი მინიმოედნები, სატრენაჟორო სივრცეები. დაბა აგარაში უზრუნველვყოფთ იმ ახალგაზრდების ტრანსპორტირებას, ვისაც სპორტულ დარბაზში გამაჯანსაღებელი თუ სპორტულ ღონისძიებებისთვის ვარჯიში და სპორტული განათლების მიღება სურთ. ასევე ქარელში ვაშენებთ საცურაო აუზს, რომელიც ოქტომბრის ბოლოსთვის დასრულდება რასაც ქარელის მოსახლეობა მოუთმენლად ელის. ჩვენ სხვადასხვა შენობის ფართები დავუთმეთ ქართული ხალხური ცეკვების მიმართულებებს, რაც დიდი პოპულარობით სარგებლობს მუნიციპალიტეტში. დირბში, დვანში, ავლევში, ბრეთში დადიან ქორეოგრაფები და ბავშვებიც ქართულ ცეკვას დიდი ინტერესით ეუფლებიან. ამასთანავე, ჩვენთვის პრიორიტეტი იყო ის მიმართულებები, რაც ჩვენი რეგიონის და კონკრეტულად ქარელის განვითარების პერსპექტივაა.

– სოფლის მეურნეობას გულისხმობთ?

– სოფლის მეურნეობა, მართლაც არის ჩვენი რეგიონისთვის მნიშვნელოვანი მიმართულება. მოხარული ვარ, რომ ჩემი მერობის პერიოდში, ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით, რიგ სოფლებს, „მთის სტატუსი“ მიენიჭა. ეს წინგადადგმული ნაბიჯია. სტატუსის დამსახურებით ამ სოფლების მკვიდრები შესაბამისი შეღავათებით სარგებლობენ. სოფლის მეურნეობის მიმართულებით, სახელწიფოს ხელშეწყობით განვითარდა სხვადასხვა პროგრამა. ძალიან გვსურდა, რომ მუნიციპალიტეტების მცირემიწიანი ფერმერებისთვის დახმარება გაგვეწია. ხელისუფლებამ მყისიერად იმოქმედა და დღეს უკვე, 1 ჰა მიწის ნაკვეთის მფლობელ ფერმერსაც შეუძლია ისარგებლოს ხელშეწყობის პროგრამებით. უფრო მცირე ფართის მფლობელ გლეხებსაც შეუძლიათ მაგალითად, კენკროვანი კულტურების გაშენებაზე 100%-იანი, მრავალწლიანი ხეხილის გაშენებაზე კი გარკვეული დაფინასების მიღება, სადაც 70%-ით შედის სახელმწიფო თანადაფინანსებაში; სახელმწიფო ასევე მსურველებს ეხმარება ტექნიკისა და სოფლის მეურნეობისთვის ნივთების დაფინანსებაში. ფაქტობრივად, თანადაფინანსება ყველა კომპონენტშია.

– მთავარი ის არის, თუ აქვთ ადგილობრივებს ამ პროგრამების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია და თქვენ, როგორც მერი, აქტიურობდით მათ ინფორმირებაში?

– რა თქმა უნდა, ვაქტიურობთ... ჩემს ამომრჩეველთან სისტემატური შეხვედრები მაქვს და თითქმის ყველა შეხვედრაზე ამ მიმართულებით მიდის ხოლმე მსჯელობა. წლები მოვანდომეთ მოსახლეობამდე ამ საკითხების მიტანას; დავარწმუნეთ ადგილობრივები, რომ მიწის ფართობები უნდა გაეფორმებინათ და დავეხმარეთ; ასევე ვეხმარებით პროგრამების დაწერაშიც და სოფლის მეურნეობის სახელმწიფო პროგრამების შესახებ აქტიურ ინფორმაციას ვაწვდით. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ქარელში ტურიზმის განვითარების უდიდესი პოტენციალია. ძამას ხეობა, სადაც უამრავი ეკლესია-მონასტერი, ციხე-სიმაგრე და სხვადასხვა კულტურული ნაგებობაა, ტურისტებისთვის ძალიან მიმზიდველია. თითქმის მთელ ხეობაში, 20 კილომეტრამდე ასფალტირებული გზა გავიყვანეთ, სასმელი წყალი გავაკეთეთ. ინფრასტრუქტურა თუ არ განავითარე, ტურისტი არ მოვა. პანდემიის დროს, ტურიზმის სფერო კოვიდ 19-მა მთელ მსოფლიოში შეაფერხა. შარშანწინ, შიდა ტურიზმის ფარგლებში, ძამას ხეობის პოპულარიზაციის მიზნით, ერთ-ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან ერთად ახალგაზრდული ბანაკი გავაკეთეთ. ჩვენთან ჩამოვიდნენ ახალგაზრდები პანკისიდან, სვანეთიდან, რაჭიდან, მარნეულიდან, ბოლნისიდან და სხვა რეგიონებიდან. ვფიქრობ, ამანაც გამოიღო შედეგი და შარშან და წელსაც, ჩვენი უამრავი თანამოქალაქე ესტუმრა ძამას ხეობას.

– წინა არჩევნებზე გაცემული მთავარი დაპირება – „ყველაფერს გავაკეთებ, რომ თითოეულ ადგილობრივს პრობლემების გადაჭრაში დავეხმარო“ – შეასრულეთ?

– შემიძლია თამამად ვთქვა, რომ შევასრულე ეს და სხვა დაპირებებიც.

– ამჯერად რა გეგმები გაქვთ და რატომ უნდა მოგცენ ქარელელებმა ისევ თქვენ ხმა?

– ქარელთან დაკავშირებით მხოლოდ ის გეგმა მაქვს, რომ მინდა, 4 წლის მერე ქარელის მოსახლეობას აღარ ჰქონდეს საზრუნავი, ყოფითი გამოწვევები და ქარელი იყოს ერთ-ერთი წარმატებული, განვითარებული მუნიციპალიტეტი არა მხოლოდ რეგიონის, არამედ მთელი საქართველოს მასშტაბით. წინა არჩევნებზე ამომრჩეველთა ხმების 60%-ზე მეტი მივიღე. მანამდე გამგებელიც ვიყავი. მოსახლეობა ხედავს ჩემში პოტენციალს, რომ შემიძლია ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება ჩემი მუნიციპალიტეტისთვის. აქ დაბადებულ-გაზრდილი ვარ და ვფიქრობ, აქ ყველამ ყველაფერი იცის ჩემ შესახებ. დამალული და დაფარული არაფერია. ჩემს ქარელელებთან, თითქმის ყველა ოჯახთან თბილი და უშუალო ურთიერთობა მაქვს. ჩემი მუნიციპალიტეტი ბოლო წლებში შეიცვალა და ეს მხოლოდ ჩემი და ხელისუფლების დამსახურება არ არის. ეს ქარელის მკვიდრთა დამსახურებაა – უფრო მეტს ითხოვენ, მეტი შემოთავაზება აქვთ. ვპირდები მათ, მათი ინტერესებიდან გამომდინარე, რაც საჭირო იქნება და შემეძლება, ყველაფერს გავაკეთებ მათი კეთილდღეობისთვის.

– ქარელში როგორ არჩევნებს ელოდებით?

– დემოკრატიულს! ამას აუცილებლად უზრუნველყოფს გუნდი, რომლის გვერდითაც სწორედ პრინციპების, ღირებულებებისა და ფასეულობების თანხვედრის გამო დავდექი. სხვათა შორის, 2013 წელს, როცა პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილედ დავინიშნე და ჩვენმა გუნდმა რეფორმები დაიწყო, მაშინ ჩემი მთავარი მიზანი იყო ის, რომ პოლიციის დეპოლიტიზირება მომხდარიყო და ყველა მომდევნო არჩევნები დემოკრატიულად ჩატარებულიყო ქვეყანაში. იმ პერიოდში პოლიციელებს სულ იმის შიში ჰქონდათ, ახალი ხელისუფლება მოვიდოდა და ყველას გაათავისუფლებდა. ჩვენ შემთხვევაში ასე არ მოხდა. 8 თვე ვიმუშავე და ყველას ვეუბნებოდი, რომ მომავალი არჩევნები მშვიდად ჩაივლიდა, აღარავინ მიატანინებდა პირადობის მოწმობებს და დავალებებს აღარ მიიღებდნენ. 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ არაერთმა პოლიციის თანამშრომელმა მითხრა რომ ეს დაუჯერებელი იყო. საპრეზიდენტო არჩევნებისას მათი ერთადერთი დავალება ჰქონდათ – 100 მეტრის რადიუსზე არ გაკარებოდნენ საარჩევნო უბანს. არჩევნების შემდეგ ბევრმა პოლიციელმა მადლობაც გადამიხადა. მიხარია, რომ ზურგს ის გუნდი მიმაგრებს, რომელმაც ამ წლების განმავლობაში, ბევრ ისეთ იდეას შეასხა ფრთები, რომლებიც ხალხს წარმოუდგენლად მიაჩნდა. ეს ჩემთვის დიდი პატივია. მაქსიმუმს გავაკეთებ, რომ მომდევნო 4 წელში, მათი და ქარელის მოსახლეობის იმედები გავამართლო.

– ანუ, გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ?

– რა თქმა უნდა. პირველივე ტურში გავიმარჯვებ. ჩემი ამომრჩევლის მხარდაჭერაში დარწმუნებული ვარ.

ზაზა გულიაშვილის დაუსრულებელი „მხიარული რომანი“

ერთმანეთი ისე გაიცნეს, როგორც „მხიარულ რომანში“ – მარიამ იმერლიშვილი დედის სოფელში ჩავიდა, სადაც ადგილობრივი ბიჭი გაიცნო. ოღონდ, ყველასთვის საყვარელი ფილმის სიუჟეტისგან განსხვავებით, ჩვენი გმირები, ძალიან პატარები იყვნენ. ისეთი პატარები, რომ ბატონი ზაზა გაცნობის ასაკსაც არ აკონკრეტებს და ამბობს, რაც თავი მახსოვს, მარიამსაც ვიცნობო.

არც ქრონომეტრაჟია ერთნაირი – ზაზა გულიაშვილის „მხიარული რომანი“ დღესაც გრძელდება და სიყვარულის ლოგიკური გაგრძელება – შვილებიც ჰყავთ.

უფროსი ვაჟი მამის მოსახელეა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსის სტუდენტია და პარალელურად, სახელმწიფო დაცვის სამსახურშიც მუშაობს. უმცროსმა, გიგამ, სკოლა წელს დაამთავრა და კომპიუტერული ტექნოლოგიების მიმართულებით სწავლა გადაწყვიტა. ბიჭები, მამის მსგავსად, სპორტითაც არიან გატაცებულნი, ოღონდ დღეს ეს გატაცება მხოლოდ ცურვითა და სატრენაჟორო დარბაზში ვარჯიშით შემოიფარგლება. ადრე ზაზამ წარმატებებსაც მიაღწია – ჭიდაობაში საქართველოს პრიზიორი და ჭაბუკებში ქალაქის ჩემპიონიც გახდა, მაგრამ შემდეგ არჩევანი უმაღლესი განათლების სასარგებლოდ გააკეთა და აქტიურ სპორტს თავი დაანება.

ბიჭების აღზრდა ქალბატონმა მარიამმა ითავა, რომელიც დიასახლისია. სწორედ ის გამოირჩეოდა ზომიერი სიმკაცრით. „სწავლა, ზრდილობა, წესიერება, ადამიანის, განსაკუთრებით ქალის, ასევე ტრადიციების პატივისცემა – ეს ის მოთხოვნებია, რომელიც დედას, საკმაოდ ცელქი ბიჭების მიმართ ჰქონდა. ბატონი ზაზა ამბობს: „ჩემი მეუღლე ყველაზე მნიშვნელოვან საქმეს ასრულებს. რისთვისაც იშრომა და იღვაწა, დაუფასდა, რადგან ნამდვილად კარგი შვილები გვყავს“.

როცა გაიგეს, რომ ისევ საარჩევნო მარათონში ჩართვას აპირებდა, მხარდაჭერა გამოუცხადეს. უხარიათ კიდეც, რადგან იციან, რომ ოჯახის უფროსი კარგ საქმეს აკეთებს, ქვეყნისა და ხალხის წინაშე ირჯება.

ყველა მნიშვნელოვან დღესასწაულს ერთად ხვდებიან. მათი ოჯახური ტრადიციაც ესაა. თავისუფალ დროს გამონახავს თუ არა, გული სახლისკენ მიუწევს. უყვარს სოფელში ყოფნა და მიწასთან ურთიერთობა. ქალაქელის საზომით – ბევრი, სოფლის მაცხოვრებლის გადმოსახედიდან კი – არც ისე დიდი მიწის მფლობელია, სადაც ბოსტნეული და სხვადასხვა კულტურა მოჰყავს. აქ, ბუნებასთან მჭიდრო კავშირში, საკუთარ თავს უღრმავდება; აქ ახსენდება მშრომელი დედა, რომელიც 5 შვილს ობლად ზრდიდა... 4 უფროსი დედმამიშვილი, რომლებიც წამოიზარდნენ თუ არა, მუშაობდნენ და დედას ეხიდებოდნენ... ბავშვობაც გაახსენდება და ის ერთი დღეც, რომელმაც სპორტსმენობა გადააწყვეტინა... შემდეგ ორთაბრძოლები და წარმატებებიც გაუელვებს თვალწინ კადრებად, რასაც ქარელის ჯერ გამგებლობა და შემდეგ მერობა მოჰყვება. არც უინტერესოდ იცხოვრა და არც ისე, ქარელის მოსახლეობასთან არ „მიესვლებოდეს“. ამიტომაა დარწმუნებული გამარჯვებაში, თუმცა იმედს კიდევ არაერთი მიზეზი უსახავს, მათ შორის გუნდი, რომელმაც ნდობა ისევ გამოუცხადა და ოჯახი, რომლის სიმტკიცის საიდუმლო 4 რამაა: მეგობრობა, პატივისცემა, ნდობა და რა თქმა უნდა, დიდი სიყვარული.

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, **ქარელის მუნიციპალიტეტზე** გამოიყო 53 916 722 ლარი, დაფინანსდა 106 289 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (2133 347,6 ლარით დაფინანსდა 158 869 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (5 430 772 ლარით 65 586 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (33 966 625 ლარით 23 542 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (8 173 728 ლარი 8 067 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (2 486 670 ლარით 4 191 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (1 752 020 ლარით 3 435 შემთხვევა). გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. პროგრამით, 2017-2021 წლებში, ქარელში დაფინანსდა 6 455 ბენეფიციარი (410 833 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. **ქარელში** 86%-დან 90%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი.

ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ქარელში,** სტაციონარული მკურნალობით 193-მა (716 158 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 2 237-მა პაციენტმა (213 886 ლარი) ისარგებლა.

დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, ანტენატალური სერვისი მიიღო 6 682-მა ორსულმა (373 598 ლ). მედიკამენტები – 1 970-მა.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. **ქარელის მუნიციპალიტეტიდან** მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1 011 პირი, დაიხარჯა – 206 033 ლარი.

2012 წლის შემდეგ, **ქარელის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად **გაიზარდა სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ქარელის მუნიციპალიტეტს 63 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

ინფრასტრუქტურული პროექტები

2014-2020 წლებში, ქარელის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

ამბულატორიების მოწყობა სოფლებში: ატოცი (30 000 ლ), ავლევი, კოდა, თამარაშენი, რუისი (საძირკვლის მოწყობა – 32 997 ლ); ტახტისძირი (14 672 ლ). ჭვრინისი (18 046 ლ). ამბულატორიების რეაბილიტაცია სოფლებში: დვანი (18, 802 ლ), ბრეთი (50 000 ლ). ამბულატორიებში კომუნიკაციების შეყვანა სოფლებში: რუისი, ბრეძი, კოდა, თამარაშენი, ავლევი (6 299 ლ). ქარელის მუნიციპალიტეტის 6 სოფელში არსებული ამბულატორიების საკანალიზაციო ქსელის მოწყობა (1 492 ლ). სოფ. კნოლევში ამბულატორიის ოთახის, სოფ. ავლევის ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია, პანდუსების მოწყობა (42 106 ლ);
2019 წელს აშენდა ორი ამბულატორია (ზღუდერი, ბებნისი), მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა შემდეგ ამბულატორიებში: მოხისი, ახალსოფელი, ბრეთის მეურნეობა და კეხიჯვარი (სულ 197 957 ლარი).

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება.** 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 103,1 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 74,0 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ ჯანდაცვის სფეროს მიმართულებით ხორციელდება ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები როგორიცაა მოსახლეობის მკურნალობის/თანადაფინანსების პროგრამა, მედიკამენტებით დაფინანსების პროგრამა, ცელიაკიით დაავადებულთა და თირკმლის ჩანაცვლებით (დიალიზი) მკურნალობაზე მყოფ პირთა დახმარების პროგრამა.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, კვლავ უზრუნველყოფილი იქნება სამედიცინო სერვისების ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა, მიზნობრივი ჯგუფები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი სამედიცინო მომსახურებით და სამკურნალო მედიკამენტებით;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები.

41 ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო

ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ

წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის საპენსიო ასაკის პირთა პენსია 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ).

ქარელის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო **პენსიის მიმღები** (01.04.2021 მდგომ.) 7979 საპენსიო ასაკის პირია. 2012 წლის შემდეგ, გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი 2,3-ჯერ – 9 422 586-დან 21 494 009 ლარამდე. 2013-2021 წლებში, სულ 134 908 138 ლარი დაიხარჯა.

სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვის** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. ქარელში სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები 118 პირია (01.04.2021 მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4,3-ჯერ, 146 014 ლარიდან 632 295 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ სულ 4 575 411 ლარი დაიხარჯა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ. შემწეობები. ქარელში სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილია სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი 2 462 ოჯახი (01.04.2021 მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, საარსებო შემწეობებზე გაწეული ხარჯი 4 597 ათასიდან 5 771 ათას ლარამდე გაიზარდა. 2013-221 წლებში, საარსებო შემწეობაზე სულ დაიხარჯა 51 805 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონრებზე – 11 837 ათასი, შშმ პირებზე – 3 652 ათასი, ბავშვებზე – 17 433 ათასი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებულ პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – **ქარელში** სოციალური პაკეტით სარგებლობს 2 151 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,6-ჯერ – 578 470-დან 3 213 528 ლარამდე გაიზარდა.

2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 21 460 822 ლარი.

ქარელის მუნიციპალიტეტში 1 881 დევნილია (01.04.2021 წ. მდგომ.). 2012 წლის შემდეგ, 648 236-დან 1 036 485 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში სულ გაცემულია 8 261 990 ლარი. **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (2021 წლის ივლისის მონაცემებით), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან ქარელის მუნიციპალიტეტში დაკმაყოფილდა 394 ოჯახი, მათ შორის: 109 ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 34 დევნილ ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართი 360 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, მიმდინარე წლის ბოლომდე, დამატებით 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება.

2014 წლიდან ხორციელდება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც ვრცელდება მესამე და მომდევნო ბავშვზე საქართველოს იმ რეგიონებში, სადაც ბუნებრივი კლება ფიქსირდება. 2016 წლიდან პროგრამას დაემატა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირის ბავშვისათვის დახმარება.. ქარელში დაფინანსებულ ბენეფიციართა რაოდენობა 138 (2021 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით). 2016-2021 წლებში სულ დაიხარჯა 250 100 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 103 000 ლარი. განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებლი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახებისთვის ფულადი დახმარების გაცემის უწყვეტობის უზრუნველყოფა და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი, აქედან ქარელის მუნიციპალიტეტზე – 3 499 293 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად (1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ). პროგრამაში, 2020 წელს, ქარელის მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 1 680 ოჯახი, 2021 წელს – 1 857. **ყოველთვიური დახმარება** (თვეში 100 ლარი) განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. ქარელში, პროგრამით ისარგებლა: 2020 წელს 463-მა ოჯახმა, 2021 წ. (ივნისის მონაცემებით) – 510-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტით დახმარებასთან ერთად, დამატებით გამოიყო 100 ლარი (6 თვით), ქარელში, პროგრამაში ჩაერთო 2020 წ. 440 პირი, 2021 წ. (ივნისის მდგომარეობით) – 445 პირი.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი, სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 4 მაისის №286 დადგენილების თანახმად, სსიპ დასაქმების სახელწიფო საგენტო განისაზღვრა პროგრამის ერთ-ერთ განმახორციელებლ უწყებად. სააგენტოს დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. არაფორმალური თვითდასაქმებულების იდენტიფიცირებისა და მათთის ერთჯერადი კომპენსაციების გაცემის მიზნით, შეიქმნა უწყებათაშორისი კომისია, ხოლო სააგენტომ შეასრულა კომისიის სამუშაო ჯგუფის ფუნქციები. **ერთჯერადი 300 ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867 ფორმალურმა და არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში გადაირიცხა 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300 ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი.

მუნიციპალიტეტის მიერ სოციალური დაცვის სფეროში ხორციელდება არაერთი მნიშვნელოვანი პროგრამა. მათ შორის უფასო კვების პროგრამა, ახალშობილთა დახმარების პროგრამა, სტიქიური უბედურებით გამოწვეული ზარალის ანაზღაურების პროგრამა, სტუდენტების დაფინანსების პროგრამა, შშმ პირების დახმარების პროგრამა, მკვეთრად დამოხატული უსინათლოებ?ის დახმარ?ების პროგ?რამა, დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ბავშვების დახმარების პროგრამა და სხვ.

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, სიღატაკის დაძლევისა და სიღარიბის შემცირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება სოციალური დაცვის მექანიზმები, ყოველი მოქალაქის სხვადასხვა სოციალური რისკებისაგან დაცვის მიზნით;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

**ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲡᲐᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠ�გᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

ᲥᲐᲠᲔᲚᲘᲡ №2 ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების საagენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია.

ქარელში ფუნქციონირებს სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების ქარელის მუნიციპალური გაერთიანება (21 მუნიციპალური საბავშვო ბაღი, მათგან 2 – ქ. ქარელში, ხოლო 19 – სოფლად).

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა ქარელში ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება: 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 მლნ 508,53 ათასი ლარი შეადგინა. 2013 წელს კი აღნიშნული მაჩვენებელი 472,5 ათასი ლარით განისაზღვრა.

2014-2021 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ საბავშვო ბაღებში განხორციელდა: 7 ახალი საბავშვო ბაღის **მშენებლობა** (ბრეთი, ქვემო ხვედურეთი, მოხისი, ფცა, აბანო, აბისი და ქვეტანოცკი); რეაბილიტაცია/აღჭურვა ყველა საბავშვო ბაღში. **2014-2017 წლებში** მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია-აღჭურვისა და მშენებლობის ღონისძიებებზე სულ 1 მლნ 865 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის:

2014 წელს განხორციელდა: ქარელის №2, სოფ. დირბისა და კეხიჯვრის საბავშვო ბაღების შენობის სარემონტო სამუშაოები (51 ათასი ლარი); სოფ. ბრეთის, ურბნისის, ბრეთის მეურნეობის, ბებნისის, წვერის საბავშვო ბაღების და ბებნისის ტერიტორიული ორგანოს ადმინისტრაციული შენობის სარემონტო სამუშაოები და სახურავის გადახურვა (2160.45 ათასი ლარი); დაბა აგარაში, საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები (50 ათასი ლარი); სოფელ ქვენატკოცის საბავშვო ბაღის სარემონტო სამუშაოები (50,5 ათასი ლარი); ასევე, რემონტი ჩაუტარდა ქარელის №1 და სოფელ კეხიჯვრის საბავშვო ბაღებს; განხორციელდა ქარელის №1, ბრეთის, ბრეთის მეურნეობის, ურბნისის, წვერის საბავშვო ბაღების გაზიფიცირება.

2015 წელი: საბავშვო ბაღების ფასადებისა და ეზოების სარემონტო სამუშაოებზე 84,2 ათასი ლარი დაიხარჯა; სოფ. ფცაში საბავშვო ბაღის რემონტს 138,5 ათასი ლარი მოხმარდა; აგარის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობაზე (აგარის სკვერის რიაბილიტაციასთან ერთად) 48,3 ათასი ლარი დაიხარჯა; ჩატარდა სოფელ ქვენატკოცისა (50,1 ათასი ლარი) და სოფელ მოხისის (114,7 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების სარეკონსტრუქციო-სარემონტო სამუშაოები, სოფელ რუისის პირველი და მესამე საბავშვო ბაღებისთვის ინვენტარის შესყიდვა (6 ათასი ლარი).

2016 წელი: სოფელ ქვემო ხვედურეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (95,5 ათასი ლარი); ბრეთის მეურნეობაში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (10,7 ათასი ლარი).

2017 წელი დასრულდა ზემო ხვედურეთის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რაზეც ადგილობრივი ბიუჯეტიდან 72,6 ათასი ლარი დაიხარჯა. 2018 წელს კი გამოცხადდა ტენდერი დირბის საბავშვო ბაღის სრულ რეაბილიტაციაზე (981,4 ათასი ლარი).

2019 წელი: დასრულდა საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია სოფელ დირბში (840 ათასი ლარი); ზემო ხვედურეთის (8,8 ათასი ლარი), ქვემო ხვედურეთისა (9,4 ათასი ლარი) და სოფელ დირბის (30,7 ათასი ლარი) საბავშვო ბაღების **ეზოების კეთილმოწყობა;** სოფელ რუისის №2 და სოფელ მოხისის საბავშვო

ბაღების **გათბობის სისტემების მოწყობის** სამუშაოები (29 ათასი ლარი).

2020 წელს განხორციელდა სოფელ ახალსოფლის საბავშვო ბაღის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები (21 899 ლარი); მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა ქარელის №2 საბავშვო ბაღში (33 ათასი ლარი); 2020-2021 წელს, ყველა საბავშვო ბაღში დამონტაჟდა ელექტროქურები და სამფაზიანი ელექტროგაყვანილობა. გამოცხადებულია ტენდერი /მიმდინარეობს სატენდერო პროცედურები ავლევისა (194 994 ლარი, 2021 წ. რეგიონული ფონდი.) და ახალსოფლის საბავშვო ბაღების (369 959 ლარი, 2021 წ. რეგიონული ფონდი.) სარეკონსტრუქციო სამუშაოებზე (ჯამურად 664,9 ათასი ლარი);

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში აღსაზრდელთა რაოდენობა 820-დან 1518-მდე გაიზარდა. 30 ლარამდე გაიზარდა საბავშვო ბაღებში **კვების** თანხა თითოეულ აღსაზრდელზე, გაფართოვდა და სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი. საბავშვო ბაღებს 21 ექიმი/ექთანი ემსახურება, ყველა საბავშვო ბაღს კი ემსახურება ფსიქოლოგი.

სასკოლო მზაობის პროგრამა დანერგილია 21 საბავშვო ბაღში, 23 ჯგუფში, სადაც 489 ბავშვია; მუნიციპალიტეტის ბაღებში დასაქმებულია 64 აღმზრდელ-პედაგოგი, მათგან 23 – სასკოლო მზაობის პროგრამაში.

ზოგადი განათლება

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 35 საჯარო სკოლა (მათგან ქარელში – 2, სოფლად – 32, დაბაში – 1), სადაც 5 971 მოსწავლე და 783 მასწავლებელია. დასაქმებულია 30 სპეციალური მასწავლებელი. მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 119 სსსმ მოსწავლე. 10 საჯარო სკოლაში საზოგადოებრივ წესრიგსა და უსაფრთხოებას 22 მანდატური იცავს. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 7 საჯარო სკოლაში. სკოლებს 7 ექიმი და 1 ფსიქოლოგი ემსახურება.

ზოგადი განათლების სფეროში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად, ქარელის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა სხვადასხვა მიზნობრივი, საგანმანათლებლო ტრენინგპროგრამა, მათ შორის: პროგრამით **„დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“,** საზაფხულო სკოლებში, 2013– 2019 წლებში, 365 მოსწავლე იყო ჩართული. 2013-2020 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის** პროგრამით, საჯარო სკოლებში 53 სასკოლო პროექტი/არაფორმალური განათლების წრე განხორციელდა, 2017-2019 წლებში სასკოლო აქტივობების 41 პროექტი დაფინანსდა. ზოგადი განათლების რეფორმის ხელშეწყობის პროგრამით, **„ახალი სკოლის მოდელის“** ფარგლებში, 2019 წელს, 3 საჯარო სკოლას 61 ლეპტოპი გადაეცა. 2013-2019 წლებში, **ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადებში,** ჯამში, 3856 მოსწავლე მონაწილეობდა. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** ქარელის საჯარო სკოლების აღჭურვის 58 და **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 18 პროექტი განხორციელდა. 2018-2019 წლებში, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით/ლოკალური უსადენო ქსელით** 4 საჯარო სკოლა აღიჭურვა. 2014-2019 წლებში, ქარელის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების **შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით,** სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 66 პროექტი განხორციელდა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის** პროგრამაში 18 საჯარო სკოლის (30 მიმართულება) 734 მოსწავლეა ჩართული. **2017-2020 წლებში,** საჯარო სკოლებს, ჯამში, 1411 **სასკოლო ჟურნალი** და 139 598 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. პროგრამით **„ჩემი პირველი კომპიუტერი“,** 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს საჩუქრად 3447 კომპიუტერი გადაეცათ, დამრიგებლებს – 225, ხოლო პორტაბელური კომპიუტერებით (ლეპტოპები) 191 წარჩინებული მოსწავლე დასაჩუქრდა. ამავე პერიოდში ქარელის საჯარო სკოლებში, ჯამში, 114 **ოქროსა და ვერცხლის მედალოსანი** გამოვლინდა. **მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიზნობრივი პროგრამებით,** კონსულტანტ-მასწავლებლებმა, ადგილობრივმა და უცხოელმა მასწავლებლებმა გაიარეს ტრენინგ-მოდულები.

2013-2021 წლებში, სკოლების ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, ქარელის მუნიციპალიტეტში საჯარო სკოლების **ნაწილობრივი რეაბილიტაციის** 44 პროექტი განხორციელდა. ადაპტირებულია 23 საჯარო სკოლა; ცენტრალური გათბობის სისტემით აღჭურვილია მუნიციპალიტეტის 28 საჯარო სკოლა. MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით, ოპერირებისა და მოვლა-პატრონობის პროგრამაში მუნიციპალიტეტის 3 საჯარო სკოლაა (სოფელ ბებნისის, კეხიჯვარის, საღოლაშენის) ჩართული.

2019 წელს, სკოლების სახელმწიფო პროგრამით, განხორციელდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროექტები: სოფელ ბრეთის, ზემო შაქშაქეთის, კოდავარდისუბნისა და გვერძინეთის საჯარო სკოლების სახურავების მოწყობის სამუშაოები (39,9 ათასი ლარი); ქარელის №2 (38,5 ათასი ლარი); მოხისის (42,9 ათასი ლარი) და დვანის (33 ათასი ლარი) საჯარო სკოლების სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები; სოფელ ძლევიჯვარში სკოლის მიმდებარე ტერიტორიებისა და წყაროს კეთილმოწყობა (20 ათასი ლარი); ქვენა ტკოცის საჯარო სკოლაში კარებების მოწყობა (31,6 ათასი ლარი); ზღუდრის, ფცის, ბრეთის მეურნეობის, ზ/ხვედუეთისა და რუისის საჯარო სკოლებში სეპტიკების მოწყობის სამუშაოები (24,9 ათასი ლარი); სოფელ ფცისა და ბრეთის მეურნეობის საჯარო სკოლებში მოეწყო გათბობის სისტემა (178 ათასი ლარი); გადაიხურა ზემო ხვედურეთის საჯარო სკოლა (62,3 ათასი ლარი); ზღუდრის საჯარო სკოლაში მოეწყო კარები (4,2 ათასი ლარი); **სველი წერტილების** სამშენებლო/ სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა ზღუდრის (40,5 ათასი ლარი), რუისის №2 (43,3 ათასი ლარი), ფცის (48 ათასი ლარი), ხვედურეთის (41,2 ათასი ლარი) საჯარო სკოლები. ფცის საჯარო სკოლაში მოეწყო დარბაზის **იატაკი (**16,8 ათასი ლარი); სასირეთის სკოლაში – გათბობის სისტემა (8,8 ათასი ლარი); სოფელ ბრეთის, სასირეთისა და ფცის საჯარო სკოლებში მოეწყო **გაზმომარაგების შიდა ქსელები** (1,4 ათასი ლარი); სოფელ აბანოს საჯარო სკოლაში – საქვაბე მეურნეობა (13,1 ათასი ლარი). **დაფინანსდა:** საჯარო სკოლების რეაბილიტაციის საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა: სოფელ ცერონისის (3,7 ათასი ლარი), თამარაშენის (3,7 ათასი ლარი); დაბა აგარის საჯარო სკოლის გათბობის სისტემის რეაბილიტაცია – 6,1 ათასი ლარი.

2020 წელს სოფელ სასირეთსა და გვერძინეთში მოეწყო სველი წერტილები (35,2 ათასი ლარი); ასევე სველი წერტილები მოეწყო სოფელ საციხურის (25 942 ლარი), დაბა აგარისა და ქვენატკოცის (32 996 ლარი), ხეობის (43182 ლარი), ბერძენაულის (38 202 ლარი), ბრეთის (36 362 ლარი), აბანოს, კოდის, ზემო შაქშაქეთისა და კოდავარდისუბანის საჯარო სკოლებში (27 753 ლარი); **გადაუდებელი აუცილებლობით,** სველი წერტილები მოეწყო სოფელ ავლევის, ბრეძისა და ძლევიჯვრის საჯარო სკოლებში (96 480 ლარი);

2021 წელს მუნიციპალური ფონდის დაფინანსებით, საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს: ახალსოფლის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (1 მლნ 349,1 ათასი ლარი); ურბნისის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (2 მლნ ლარი), აბისის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (1 მლნ 785,4 ლარი);

2021 წლის სკოლების სახელმწიფო პროგრამით მიმდინარეობს სოფელ ხეობის საჯარო სკოლის სახურავის რეაბილიტაცია (20 531 ლარი), სოფელ ძლევიჯვრის საჯარო სკოლის ფანჯრების, კორპუსებს შორის ღობის მოწყობა (11 469 ლარი), სოფელ რუისის №3 საჯარო სკოლაში იცვლება კარ-ფანჯრები (18,9 ათასი ლარი), ხოლო №2 სკოლაში კარები (10 360 ლარი).

პროფესიული განათლება

2016 წლიდან ქარელის მუნიციპალიტეტის **დაბა აგარის საჯარო სკოლაში 4 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება.** 2016-2020 წლებში, მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებისთვის სახელმწიფომ საგანმანათლებლო დაწესებულება, საერთო ჯამში, 168,6 ათასი ლარით დააფინანსა. 2020 წლისთვის სასწავლებელში **4 მოდულური პროგრამა** ხორციელდება. 2021 წლის მიღების ფარგლებში, დაწესებულება დაინტერესებულ პირებს 2 მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას სთავაზობს: ელექტროობა, სანტექნიკის სისტემების ექსპლუატაცია.

2019-2020 სასწავლო წელს სასწავლებელში პროფესიულ პროგრამებზე 52 სტუდენტი ჩაირიცხა. სასწავლებელში 17 აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალია დასაქმებული. 2020 წელს პროფესიულ პროგრამებში ჩართული იყო 52 პირი, მათ შორის, 1 სსსმ პირი; 2017-2019 წლებში ქარელის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების კურსების დანერგვის მიზნით 19 პროექტი განხორციელდა. **2020 წელს** მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებლად სასწავლებელი 109 ათასი ლარით დაფინანსდა; 2020 წელს დასრულდა აგარის საჯარო სკოლის პროფესიული სასწავლებლის სახელოსნოს სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (62 638 ლარი);

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს შიდა ქართლის რეგიონის (გორი, კასპი, ქარელი, და ხაშური)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთვრებულებს, 2018-2019 სასწავლო წელს შიდა ქართლის რეგიონიდან დაფინანსდა 9 სტუდენტი. 2019-2020 სასწავლო წელს – 9 სტუდენტი, 2020-2021 სასწავლო წელს 9 სტუდენტი

გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები დაზარალებული სტუდენტების პროგრამის ფარგლებში, ქარელის მუნიციპალიტეტიდან, 2020-2021 სასწავლო წელს დაფინანსდა 400 სტუდენტი

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო; გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება.
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის განხორციელდება საბავშვო ბაღების რეკონსტრუქციის სამუშაოები ახალსოფელსა და ავლევში; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- დაგეგმილია საბავშვო ბაღის მშენებლობა ქარელში და ასევე სოფელ ზღუდერში საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია;
- განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ყველა კლასის მოსწავლეების, კერძო სკოლის სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისა და მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კატეგორიების მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები; დაგეგმილია 2 სკოლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები; ხეობის სკოლის სახურავის რეაბილიტაცია (თანხით არაუმეტეს – 23375 ლარი) და ძლევიჯვრის სკოლის სარემონტო სამუშაოები (თანხით არაუმეტეს – 13058 ლარი); რუისის მესამე საჯარო სკოლის კარ-ფანჯრების შეცვლა (არაუმეტეს 29019 ლარი) და სოფელ რუისის მეორე საჯარო სკოლის კარების შეცვლა (არაუმეტეს 12187 ლარი);
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- განხორციელდება უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების მხარდამჭერი ღონისძიებები;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ქარელში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული შემდეგი დაწესებულებები: მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ცენტრალური ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრი, აგარის ნ.ღამბაშიძის სახელობის ხელოვნების სკოლა, რუისის ხელოვნების სკოლა და ქარელის ხელოვნების სკოლა (სოფ. ბრეთის განყოფილებით).

2013 წელთან შედარებით, **გაიზარდა კულტურის სფეროს დაფინანსება.** 2013 წლის ბიუჯეტით კულტურის სფეროს ხარჯები განისაზღვრა 372,1 ათასი ლარით, 2020 წლის შესაბამისი მაჩვენებელი 628,46 ათასი ლარი იყო.

2020 წლიდან ქარელის მუნიციპალიტეტის ხელოვნების სკოლებში სწავლა გახდა უფასო.

2014-2021 წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა საზოგადოების ჩართულობა კულტურულ ცხოვრებაში. მუნიციპალიტეტში იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, ტარდებოდა კონცერტები და კონკურსები, ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?“, ეწყობოდა მნიშვნელოვანი თარიღებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. 2015 წელს დაფუძნდა და 2015-2016-2017 წლებში ჩატარდა სახალხო დღესასწაული „ქარელობა“.

2019-2021 წლებში, კულტურულ ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის გასაზრდელად გამართული სხვადასხვა კულტურიული და ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის განსაზღვრულია 2019 წელს – 101 192 ლარი, 2020 წელს – 18894 (პანდემიის გამო შეფერხდა ღონისძიებების ნაწილი), 2021 წელს – 50 600 ლარი; სულ 2019-2020 წლების კულტურული და ახალგაზრდული ღონისძიებების ბიუჯეტმა შეადგინა – 170 686 ლარი.

მუნიციპალიტეტში მუშაობს კულტურის სახლი, სადაც ფუნქციონირებს სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი, ბავშვთა დრამატური თეატრი და ქორეოგრაფიული წრეები. მუნიციპალიტეტში მუშაობს ქარელის (ბრეთის განყოფილებით), აგარისა და რუისის სახელოვნებო სკოლები, სადაც 500-ზე მეტი ბავშვი სწავლობს. სკოლებში ფუნქციონირებს ფორტეპიანოს და ვიოლინოს, მუსლიტერატურის განყოფილებები, ასევე სიმღერის გუნდები „ქოზიფა“, „აგარა“, „მროვი“. 2020 წელს პანდემიის გამო კულტურული ღონისძიებები შეფერხდა, სასწავლო პროცესი ონლაინრეჟიმში მიმდინარეაობდა.

2021 წლის 16 აპრილს ქ. გორში, ჩატარდა კლასიკური მუსიკის XIV ეროვნული კონკურსი – „მომავლის ვარსკვლავები“. შესარჩევ ტურში ქარელის ხელოვნების სკოლის, 2 მოსწავლე მონაწილეობდა (ვიოლინოს ჯგუფის პედაგოგი: ნატა წერეთელი) ასევე სკოლის გუნდის 10 მოსწავლე და 4 ინდივიდუალური შემსრულებელი მონაწილეობდა ქ. თბილისში კლასიკური მუსიკის რესპუბლიკურ ფესტივალ-კონკურსზე „იპოვე შენი ვარსკვლავი“; წლის განმავლობაში დაგეგმილია 5-მდე ღონისძიება და საანგარიშო კონცერტი;

მუნიციპალიტეტის კულტურის სახლებისა და სხვა კულტურული დაწესებულებების წარმომადგენლები მუდმივად მონაწილეობენ სხვადასხვა შემეცნებით-კულტურულ ღონისძიებაასა და კონკურს-ფესტივალებში. ქ. თბილისში ჩატარდა ფოლკლორის ფესტივალი „მე მიყვარს ცეკვა“, სადაც მონაწილეობდნენ კულტურის ცენტრის ანსამბლები „იბერიელები“ (მთავარი ქორეოგრაფი შალვა საზანდრიშვილი) და „ქარელი“ (მთავარი ქორეოგრაფი ვახტანგ ბართია); ანსამბლებმა მიიღეს დიპლომები და სხვადასხვა ჯილდოები, ხოლო ქორეოგრაფებმა დაიმსახურეს განსაკუთრებული სიგელები ფესტივალში შეტანილი წვლილისათვის; ფესტივალში ასევე მონაწილეობდნენ კულტურის ცენტრის თანამედროვე და სამეჯლისო წრის მოცეკვავეები (წრის ხელმძღვანელი: მაია სუმბათაშვილი), რომლებიც დიპლომებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ.

2015-2021 წლებში, სამინისტროს ხელშეწყობით, **დევნილთა კომპაქტურ დასახლებებში, სახელოვნებო განათლების ხელმისაწვდომობის მიზნით,** ხორციელდება პროექტი, რომელიც ქარელის მუნიციპალიტეტის მოხისისა და ახალსოფელის დევნილთა კომპაქტურ დასახლებაში, დევნილი მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის სახელოვნებო წრეების ფუნქციონირებასა და სხვადასხვა საგანმანათლებლო-სახელოვნებო აქტივობების განხორციელებას ითვალისწინებს.

2014-2021 წლებში განხორციელდა კულტურის ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები: ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტაცია (67,2 ათასი ლარი,); ქარელის კულტურის სახლის სრული რეაბილიტაცია (განხორციელდა რეგ. ფონდის დაფინანსებით), ეზოსა და სველი წერტილების მოწყობა (2 მლნ 193,3 ათასი ლარი); ნ. ღამბაშიძის სახელობის ხელოვნების სკოლის (აგარა) და რუისის ხელოვნების სკოლის რეაბილიტაცია (78,7 ათასი ლარი); ქარელში ხელოვნების სკოლის გათბობის სამუშაოები (16,9 ათასი ლარი).

2015 წელს განხორციელდა: ქარელის კულტურის სახლის რეკონსტრუქცია (963 ათასი ლარი); სოფ. რუისისა და აგარის ხელოვნების სკოლების რეკონსტრუქცია (79,5 ათასი ლარი). **2016 წელი –** ქარელის ხელოვნების სკოლის გათბობის სისტემის მოწყობის სამუშაოები (20,1 ათასი ლარი). **2018 წელი –** ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოს კეთილმოწყობისა და გათბობის სისტემის მოწყობა (28 ათასი ლარი); სოფელ რუისში სამამულო ომში დაღუპულთა მემორიალის რეაბილიტაცია (14,7 ათასი ლარი). **2019 წელი –** სოფელ ბრეთის კლუბის სახურავის რეაბილიტაცია (21,8 ათასი ლარი); სოფელ ბრეთის მუსიკალური სკოლის რეაბილიტაციის სამუშაოები (23,9 ათასი ლარი).

2021 წელს განხორციელდა პროექტი ქარელის მხარეთმცოდენობის მუზეუმში საგანმანათლებლო სივრცის მოწყობის შესახებ. პროექტმა მოიპოვა საერთაშორისო ორგანიზაცია USAID-ის გრანტი 20000 ლარის ოდენობით (USAID -ის დაფინანასება 15 500 ლარი; ააიპის თანადაფინანასება 4500 ლარი); პროექტის ფარგლებში დაიბეჭდა ქართულ-ინგლისურენოვანი ტურისტული ალბომი და მომზადდა ქარელის მხარეთმცოდენობის მუზეუმის საიტი (musemi.ge). მოეწყო ქარელის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მრავალფუნქციური საგანმანათლებლო და კულტურული სივრცე მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და ტურისტებისათვის; 15 500 ლარის ფარგლებში, შეძენილი იქნა ინვენტარი და ტექნიკა საკონფერენციო დარბაზისათვის, მოეწყო სტელაჟები და თაროები ექსპონატებისთვის, მოლბერტები საგამოფენო სივრცისათვის; მუზეუმი შეძლებს უმასპინძლოს ჩვენებებს, შემოქმედებითი საღამოებს, ისტორიის ვიქტორინებს, კონფერენციებს, წიგნის მკითხველთა კლუბს;

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამებით განახორციელდა ურბნისის II-III საუკუნეების სამაროვანის არქეოლოგიური სამუშაოები (12 ათასი ლარი). ასევე, არადეთის ორგორის (დედოფლისგორას) არქეოლოგია; სოფელი ფცა, კოშკის რეაბილიტაციის პროექტი; სოფელი ორთუბანი, ორთუბნის აბანოების გაწმენდის პროექტი, მძოვრეთის ციციშვილების აბანოს რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება (I ეტაპი); დედოფლის გორის არქეოლოგია; **2020 წელი –** სოფელი ორთუბანი, მძოვრეთის ციციშვილების აბანოს რეაბილიტაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება (I ეტაპი); ყინწვისის სამონასტრო კომპლექსის პროექტი;

ქარელის მუნიციპალიტეტს ფარავს კულტურული მარშრუტი – **„ებრაული მემკვიდრეობის ევროპული მარშრუტი საქართველოში“,** რომელიც ადგილობრივი კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციასა და კულტურული ტურიზმის განვითარებას უწყობს ხელს.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ქარელის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებების გაერთიანება, რომელიც აერთიანებს ქარელის, აგარის, რუისისა და დირბის სპორტულ დარბაზებს; ძიუდოს კლუბები „ხაბარელი“ , „დურმიშხანი“ და „ფრონეს ხეობა“.

2013 წელთან შედარებით **გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სპორტის სფეროს დაფინანსება.** 2020 წლის ბიუჯეტით სპორტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა 1842,43 ათასი ლარით განისაზღვრა, რაც მნიშვნელოვნად აღემატება 2013 წლის შესაბამის მაჩვენებელს (38 ათასი ლარი).

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ძიუდოს, სამბოს, ქართული ჭიდაობის სექციები, სადაც 705-მდე ბავშვებთან მუშაობს 19 მწვრთნელი. ფუნქციონირებს ასევე ფეხბურთის სექცია, სადაც 138 ბავშვთან მუშაობს 5 მწვრთნელი. განსაკუთრებული წამატებით გამოირჩევა ჭადრაკის სექცია, სადაც გაერთიანებულია 61 ბავშვი და 2 მწვრთნელი. ფუნქციონირებს ასევე კრივის, კიკბოქსინგის და ხელბურთის სექცია, სადაც გაერთიანებულია 61 ბავშვი და 2 მწვრთნელი.

2021 წლისთვის ა(ა)იპ ქარელის მუნიციპალიტეტის სასპორტო დაწესებულებათა გაერთიანებაში ირიცხება 700 სპორტსმენი და 33 მწვრთნელი.

2020 წელს, სპორტული შედეგებიდან გამომდინარე, **მიღწეული წარმატებისთვის 19 სპორტსმენსა და 10 მწვრთნელზე გაცემულია დახმარება 10534,96 ლარის ოდენობით.**

რესპუბლიკაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური მდგომარეობიდან გამომდინარე, COVID-19 -ის რეგულაციების შესაბამისად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში შეჩერებული იყო სპორტული შეჯიბრებების ჩატარება, როგორც გასვლით, ასევე ადგილობრივი მასშტაბით, რამაც გარკვეული დაღი დაასვა სპორტის სფეროსაც, სულ წლის განმავლობაში მოპოვებულია 12 პირველი, 11 მეორე და 22 მესამე საპრიზო ადგილები.

2021 წელს სოფელ ზემო ხვედურეთში დაფუძნდა **ძიუდოს** კლუბი „ლეგენ-

და“, რომელშიც 3 მწვრთნელი და 55 სპორტსმენია გაერთიანებული.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციის არაერთი პროექტი: ქარელში (ახალგაზრდობის ქუჩა) სპორტული დარბაზის იატაკის შეცვლა და ეზოს კეთილმოწყობა (39,4 ათასი ლარი); აგარაში სტადიონის ღობის აღდგენა (3 ათასი ლარი); ახალსოფელში სპორტული მოედნის მოწყობა (16,7 ათასი ლარი); კეხიჯვარში მინისტადიონის მოწყობა (8 ათასი ლარი); რუისში მინი სტადიონის შეკეთება (10 ათასი ლარი); ბერძენაულში სპორტული მოედნის შეღობვა (16,6 ათასი ლარი); აგარის სპორტული დარბაზის დამატებითი სარემონტო სამუშაოები (12,7 ათასი ლარი); ქარელის ორ სპორტულ დარბაზში გათბობისა და წყლის სისტემების მოწყობა (35,7 ათასი ლარი); სპორტულ დარბაზში (კაპანაძის ქუჩა) დამატებითი სარემონტო სამუშაოები (6,7 ათასი ლარი); ქარელში (მუსხელიშვილის ქუჩა) მინისტადიონის მოწყობა (41,9 ათასი ლარი); აბისისთავში სტადიონის მოწყობა (6 ათასი ლარი); აგარაში მინი სტადიონის მოწყობა (7 ათასი ლარი); კოდაში სტადიონის შეღობვა (2 ათასი ლარი); რუისში 3 მინი სტადიონის რეაბილიტაცია (20 ათასი ლარი); დირბში ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობა-რეაბილიტაცია (90,5 ათასი ლარი); რუისში ახალი სპორტული დარბაზის მშენებლობა და რეაბილიტაცია (119,9 ათასი ლარი); ქარელში კრივის დარბაზისა და საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები (123,6 ათასი ლარი); კეხიჯვარში მინი სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები (36,3 ათასი ლარი); კეხიჯვარში მინი სტადიონისთვის ფართობის შესყიდვა (7 ათასი ლარი); ბრეთის მეურნეობაში მრავლფუნქციური სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები (46,5 ათასი ლარი); აგარაში მინი სტადიონის რეაბილიტაცია (9,8 ათასი ლარი); ლეთეთში სტადიონის მოწყობა (9,8 ათასი ლარი); დვანში მინი სტადიონის მოწყობა (36,3 ათასი ლარი); ქვემო ხვედურეთში 2 მინისტადიონის მოწყობა (23,9 ათასი ლარი); 2017 წელს მოეწყო მინისტადიონები კნოლევსა (34,3 ათასი ლარი) და ქვენატკოცაში (43,4 ათასი ლარი).

2019 წელი: დასრულდა დაბა აგარაში საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია – 42,3 ათასი ლარი; სოფელ სასირეთში მინისტადიონის მოწყობის სამუშაოები – 48,5 ათასი ლარი; სოფელ ბრეთში მინისტადიონის მოწყობის სამუშაოები – 41 ათასი ლარი; ქვემო შაქშაქეთის სკვერში მინისტადიონის მოწყობა – 9,2 ათასი ლარი; დაბა აგარაში მინისტადიონის სარეაბილიტაციო სამუშაოები – 19,5 ათასი ლარი; სოფელ ზ. შაქშაქეთის სტადიონის მოწყობა; სოფელ ქვემო შაქშაქეთის სკვერში მინისტადიონის მოწყობა – 9,2 ათასი ლარი; სოფელ ატოცში მინისტადიონის მოწყობის სამუშაოები – 37,6 ათასი ლარი; სოფელ ღოღეთში მინისტადიონის მოწყობა – 35,5 ათასი ლარი **(სოფლის მხარდაჭერის პროგრამა);** დირბის სპორტდარბაზში გათბობის სისტემის მოწყობა – 12 ათასი ლარი; სოფელ საციხურში სპორტული დარბაზის იატაკის მოწყობის ამუშაოები – 10 ათასი ლარი;

2020 წელს დასრულდა ქარელის მუნიციპალიტეტის სპორტდარბაზების სარეაბილიტაციო სამუშაოები – 10 ათასი ლარი (ადგილობრივი ბიუჯეტი); დასრულდა სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცი სოფლებში: ფცა, ბრეძა, რუისი,ბებნისი, თამარაშენი, ტახტისძირი, კოდა, ავლევი, ტახტისძირი (513 358 ლარი);

2021 წელს – მიმდინარეობს საცურაო აუზის მშენებლობა – **5,6 მლნ ლარი** (ადგილობ. ბიუჯ.); ქარელის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოეწყო 14

ერთეული საჩრდილობელი ფანჩატური (ტრენაჟორებით) – 281 852 ლარი;

2013-2021 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებით, სპორტულმა ფედერაციებმა მუნიციპალიტეტში 17 შიდაჩემპიონატი (54,2 ათასი ლარი) ჩაატარეს. სამინისტრომ 1 ქუჩის სავარჯიშო მოწყობილობის მშენებლობა დააფინანსა (14,3 ათასი ლარი) და სხვადასხვა მცირეფასიანი ინვენტარიც შეიძინა (5,4 ათასი ლარი). მუნიციპალიტეტს სამინისტრომ გადასცა ძიუდოს ტატამი და სხვა სპორტული ინვენტარი (10 ათასი ლარი), 2019-2020 წლებში შეძენილია სხვადასხვა სპორტული ინვენტარი. 2018-2021 წლებში ხორციელდება **მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა.**

ახალგაზრდული პოლიტიკა

მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში მოსწავლე-ახალგაზრდები აქტიურად არიან ჩართული. ახალგაზრდული ღონისძიებების 2020 წლის პროგრამით გათვალისწინებული იყო 14 ღონისძიება, დაიხარჯა 9749 ლარი; განხორციელდა სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის: ქარელის მუნიციპალიტეტიდან საქართველოს სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილე მოსწავლეების ფორმებით უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის საქართველოს ისტორიის მცოდნე წლის საუკეთესო მოსწავლის გამოვლენა და დაჯილდოება; მოსწავლე ახალგაზრდობის მონაწილეობა სხვადასხვა ფესტივალში;

დაფინანსდა ქარელის შშმ პირთა ორგანიზაციები – სახელმწიფო კეთილდღეობისა და განვითარების ცენტრი „„სიკეთის სხივი“ (სადაც ირიცხება 20 მოზარდი და 10 ზრდასრული ბენეფიციარი) და „წმ. თედორე ტირონის სახელობის სარეაბილიტაციო დღის ცენტრი “ (12 ბენეფიციარ). უნარშეზღუდულ ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ბენეფიციართათვის განხორციელდა კვების პროდუქტებისა და საკანცელარიო ნივთების შესყიდვა;

2017-2018 წლებში სხვადასხვა ახალგაზრდულ შემეცნებით, კულტურულ და წამახალისებელ პროექტზე 68 822 ლარი დაიხარჯა; 2020-2021 წლებში კი სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებისთვის გამოყოფილია 32,5 ათასი ლარი;

ახალგაზრდული მიმართულებებით, სამინისტრომ მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის პროექტები განახორციელა: „არა – სიძულვილის ენას!“ რეგიონის ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით,,სკაუტური ბანაკი“, ატენის ხეობა, სოფელი ბოშურა (სულ – 112 მონაწილე); რეგიონის ახალგაზრდების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით ლაშქრობების მოწყობა (შიდა ქართლის რეგიონის მასშტაბით – 3-3 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); მოხალისეობის განვითარების პროგრამა (შიდა ქართლის რეგიონის მასშტაბით – 2-2 ახალგაზრდა თითოეული მუნიციპალიტეტიდან); „„საქართველოს თასი ლაშქრობაში“ – მონაწილეობა მიიღეს 18-დან 29 წლამდე ახალგაზრდებმა საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან; მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მხარდაჭერით, მუნიციპალიტეტში ახალგაზრდობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციამ განახორციელა პროექტი „**ტრადიციული რეწვის სწავლება წმინდა თეოდორე ტირონის სახელობის რეაბილიტაციის ცენტრის შშმ აღსაზრდელებისა და ბებნისის ახალგაზრდების გაძლიერებისთვის“** (12,3 ათასი ლარი). პროექტი მიზნად ისახავდა წმინდა თეოდორე ტირონის სარეაბილიტაციო ცენტრის შშმ აღსაზრდელებისა და ბებნისის სიღარიბის ზღვარზე მყოფი ახალგაზრდების სახელობო უნარების განვითარებას (არაფორმალური განათლების გზით), სოციალურ ინტეგრაციასა და შემდგომი დასაქმების პერსპექტივის შექმნას.

2021 წელს ნაწილი განხორციელებული და ასევე დაგეგმილი სხვადასხვა კულტურულ-ახალგაზრდული ღონისძიებებისთვის განსაზღვრულია 50 600 ლარი.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით, ქარელის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებებით მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- დაგეგმილია ყინწვისის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაცია – 1 მლნ 250 ათასი ლარი;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად, გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია; დაგეგმილი პროექტები: ხელოვნურ საფარიანი მინისტადიონების მოწყობა სოფელ დირბსა და ძლევიჯვარში, საჩრდილობელი ფანჩატურის მოწყობა გარეტრენაჟორებით სოფელ მოხისსა და ბრეთში;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- 2021– 2025 წლებში გაგრძელდება მაღალმთიან დასახლებებში მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამა;
- 2021-2025 წლები – აღინიშნება ევროპის სპორტის კვირეული და საერთაშორისო დღე „სპორტი მშვიდობის და განვითარებისთვის“;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

ᲩᲔᲛᲝ ᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲑᲝ!

ჩემთვის საამაყო და საპასუხისმგებლოა, მოგმართოთ, როგორც ქარელის მერობის კანდიდატმა. მმართველი პარტიის, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ხელმძღვანელობამ კიდევ ერთხელ გამომიცხადა ნდობა, რისთვისაც მათ დიდ მადლობას ვუხდი.

კარგად ვაცნობიერებ, თუ რა მძიმე პოლიტიკური ტვირთია ამ პოზიციაზე ყოფნა, მაგრამ თქვენი თანადგომის იმედი მაქვს და გპირდებით, ამ ნდობას აუცილებლად გავამართლებ.

ჩვენი ურთიერთთანამშრომლობით, ამ წლების განმავლობაში არაერთი ყოფითი პრობლემა მოვაგვარეთ და გადავჭერით ისეთი გამოწვევები, როგორებიც იყო სოფლებამდე მისასვლელი გზების მოასფალტება, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემების მოწესრიგება, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და არსებული ბაღების რეაბილიტაცია, სოფლების გაზიფიცირება, სპორტული მოედნების მშენებლობა და სხვა უამრავი ინფრასტრუქტურული პროექტი.

გპირდებით, თქვენი მხარდაჭერის შემთხვევაში, ჩემს გუნდთან ერთად, თქვენი მაქსიმალური ჩართულობით, მოვაგვარებთ ყველა იმ საკითხს, რაც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვისაა პრიორიტეტული. მჯერა, ერთობლივი ძალისხმევით, ქარელის უკეთეს ხვალინდელ დღეს შევქმნით.

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.